რვახმის სისტემის სტრუქტურული თავისებურებები ქართულ გალობაში*

დ. შუღლიაშვილი
ვ.სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია

საკვანძო სიტყვები: *გალობა, რვახმა, მოდუსები, საგალობელთა სტრუქტურა.*

ქართული გალობის სხვადასხვა საგალობო სკოლის ნიმუშების გულდასმით შესწავლა, მათი შედარებითი ანალიზი შესაძლებლობას გვაძლევს დავაზუსტოთ საუკუნეების სიღრმიდან მომავალი, ქართულ სამგალობლო პრაქტიკაში დამკვიდრებული მუსიკალური ტრადიციის თავისებურებები, რომlლებშიც თავს იყრის, როგორც ზოგადად მართლმადიდებლური გალობის კანონები, ისე კერძოდ ქართული საეკლესიო გალობისთვის დამახასიათებელი, ისტორიულად ჩამოყალიბებული სტრუქტურულ-კომპოზიციური წესები.

სამწუხაროა, რომ ქართული გალობის მუსიკალური წესებისა და კანონების შესახებ თეორიული ნაშრომები ისტორიამ თითქმის ვერ შემოგვინახა, რის გამოც მასთან დაკავშირებული მრავალი საკითხი საიდუმლოებით არის მოცული და ღრმა შესწავლას მოითხოვს.

დღეს ხშირად არის საუბარი გალობის მუსიკალური ენის სიწმინდისა და საეკლესიო ბუნების დაცვაზე, მის კანონიკასა და მუსიკალურ სისტემაზე. აღნიშნულ საკითხებთან მიმართებაში უნდა აღინიშნოს მ. ოსიტაშვილის, მ. ანდრიაძის, მ. ხვთისიაშვილის, მ. სუხიაშვილის, თ. ჩხეიძის ნაშრომები, რომლებშიც არაერთ საინტერესო დაკვირვებას ვხვდებით. საკითხის აქტუალობის, მოცულობისა და, ამავე დროს, სირთულის გათვალისწინებით, მკვლევართა ამ კუთხით მუშაობისდა მიუხედავად, ჯერ მაინც გვიჭირს ვთქვათ, რომ ჯეროვნად და სიღრმისეულად არის შესწავლილი ქართული გალობის როგორც სტრუქტურულ-კომპოზიციური აგებულება, ისე მისი ინტონაციურ-მელოდიური საფუძვლები. მათი ცოდნის გარეშე კი ძნელია სრული წარმოდგენა შეგვექმნას ქართული გალობის მკაცრად ჩამოყალიბებულ სისტემაზე, რომელიც თავის მხრივ განმსაზღვრელი და დამადასტურებელია სამხმიანი ქართული გალობის საეკლესიო კანონიკური ბუნებისა და საუკუნეთა სიღრმიდან გადმოცემული სამგალობლო ტრადიციის ჭეშმარიტებისა.

გალობის სტრუქტურული აგებულებისა და რვახმათა თავისებურების შესახებ ჩვენი პირველი დასკვნები ჯერ კიდევ სადიპლომო ნაშრომში "ქართული გალობის შტოთა ერთიანობის შესახებ" გვაქვს წარმოდგენილი [1]. მართალია, არც დასახელებულ და არც წინამდებარე ნაშრომს არა აქვს პრეტენზია აღნიშნული საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტისა, მაგრამ, ვიმედოვნებთ, რომ აქ წარმოდგენილი სიახლეები საკითხით დაინტერესებულ მკვლევართა ყურადღებას მიიპყრობს.

ქართული გალობის სხვადასხვა საგალობო სკოლის ნიმუშთა შედარებითი ანალიზი ჩვენი სამეცნიერო კვლევის უპირატეს მეთოდად გვაქვს არჩეული. ეს მეთოდი საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ ქართული გალობის ის მყარი,

* ნაშრომი წაკითხულია 2005 წელს თბილისის სახ. კონსერვატორიაში გამართულ კონფერენციაზე "ქართული გალობის ერთი საუკუნე".

ფუძისეული ელემენტები, რომლებიც დღემდე მოღწეულ ყოველ ქართულ სამგალობლო ტრადიციაში ვლინდება. მყარი, სტაბილური ელემენტები კი თავისთავად მეტყველებს ქართული გალობის საეკლესიო ბუნების, მისი კანონიკური ფუძის არსებობაზე. ჩვენი დასკვნების დიდი ნაწილი სწორედ შედარებითი ანალიზის საფუძველზეა გამოტანილი. თუმცა საგალობელთა ანალიზის უმთავრეს წყაროდ, ამ შემთხვევაში, ფილიმონ ქორიძის ჩანაწერები გვაქვს არჩეული, რომელშიც საღვთისმსახურო წლიურ ციკლში შემავალ საგალობელთა დიდი უმრავლესობა არის წარმოდგენილი. ეს სიმრავლე კი შესაძლებლობას გვაძლევს ერთი და იგივე მელოდიურ-ინტონაციური ფაქტურის მქონე მრავალი საგალობლის ურთიერთშედარებისა, რაც ბევრი საინტერესო დასკვნის საფუძველი ხდება. ფილიმონ ქორიძის მიერ ჩაწერილი საგალობლების გარკვეული ნაწილი საგულდაგულოდ აქვს გადაწერილ-გადათეთრებული მღვდელ-მონაზონ ექვთიმე კერესელიძეს, აწ უკვე წმ. ექვთიმე აღმსარებელს (ზოგჯერ შეცდომით, ამ ჩანაწერების დედნის ავტორადაც მას მიიჩნევენ). სწორედ ასეთ კრებულებს წარმოადგენს ხელნაწერები Q672, Q673 [2]. მათში თითქმის სრულად არის მოცემული მწუხრისა და ცისკრის ძირითადი საგალობლები, რომელთა უმრავლესობა რვახმის სისტემას ექვემდებარება. ამ კრებულებს ქორიძე-კერესელიძის ჩანაწერებად მოვიხსენიებთ.

ე. კერესელიძის ხელნაწერ წიგნში "ისტორია ქართული საეკლესიო საგალობლების ნოტებზე გადაღებისა" [3] ჩამოთვლილია მწუხრის და ცისკრის საგალობელთა სახეობები (ჟანრები), რომლებიც რვახმით სრულდება. მთლიანობაში მათი რიცხვი 30-ს შეადგენს. (იხ. დანართი 1.). ამ ჩამონათვალს ე. კერესელიძე ასეთ კომენტარს ურთავს: "ყველა ეს ხსენებული რვახმები სულ სხვადასხვა ხმისა არიან და ერთმანეთს არ ჰგვანან" [4]. ამ სიტყვების თანახმად, საგალობლის თითოეულ ჟანრს, ტიპს საკუთარი რვახმა, რვა მელოდიური ქარგა გააჩნდა. მაგრამ ათასობით სანოტო ჩანაწერის ანალიზის შედეგები განსხვავებულ სურათს გვაძლევს. ჩვენი ნაშრომის მიზანია წარმოვადგინოთ ქართული გალობის სანოტო ჩანაწერებში რვახმის სისტემაში არსებული ჯგუფები და მოკლედ განვიხილოთ მათგან რამდენიმე ხმის მუსიკალურ-ინტონაციური ფორმულების სახეობები.

წარმოგიდგენთ საგალობელთა რვახმის სისტემის დაჯგუფებათა ჩვენ მიერ ქართული გალობის სანოტო ჩანაწერების მიხედვით შედგენილ სქემას, რომელშიც მოცემულია როგორც მწუხრსა და ცისკარში შემავალი, ისე წირვაში არსებული რვახმის საგალობელთა ტიპები (იხ. დანართი 2).

სქემაში წარმოდგენილი არის რვახმის სისტემის ცხრა ჯგუფი, რაც გულისხმობს რვახმათა ერთმანეთისგან განსხვავებულ მოდუსთა ცხრა კომპლექსს.

განხილული გვაქვს საგალობელთა 22 სახეობა, რომლებიც რვახმაზე სრულდება. როგორც ვხედავთ, ზოგიერთ ჯგუფში ერთიანდება ერთი ტიპის, მაგრამ სხვადასხვა ლიტურგიკული ფუნქციის მქონე საგალობლები. გარკვეულ რვახმათა ჯგუფებში კი ერთად იყრის თავს სხვადასხვა ჟანრის საგალობლები.. სწორედ ასეთ ჯგუფს წარმოადგენს ე. წ. **დასდებლის** რვახმათა ჯგუფი, რომელიც საგალობელთა სახეობების სიმრავლით გამოირჩევა. მასში ყოველგვარი დასდებლის გარდა ერთიანდება: განმანათლებლები, დოგმატიკები, გერნი, "აწ განუტევე", "ღმერთი უფალი", "უმეტესად კურთხეულ ხარ", დიდმარხვის ალილუიანი, სამებიანის გალობა.

ტროპარის ჯგუფში გაერთიანებულია აღდგომის ანუ კვირიაკეთა, "დიდება მაღალიანისა" და დღესასწაულთა ტროპარები, რომლებშიც როგორც საუფლო და დიდი დღესასწაულების, მოძრავი თუ უძრავი, ისე წმინდანთა ტროპარებიც იგულისხმება.

საინტერესოა, რომ სქემაში ტროპარისა და დასდებლის ჯგუფები მხოლოდ ოთხი ხმით: I, II, III და VIII (ა, ბ, გ, Გ.) ხმებით არის წარმოდგენილი. რაც შეეხება IV, V, VI და VII (დ, ე, ვ, ზ) ხმებს, ისინი როგორც ტროპარის, ისე დასდებლის ჯგუფებში შემავალ საგალობელთათვის საერთოა, საზიარო. ამიტომ, მას **ტროპარ-დასდებლის** ჯგუფი ვუწოდეთ. საკითხი, თუ რატომ არის ტროპარისა და დასდებლის ჯგუფებს შორის საერთო IV-VII ხმები, ხოლო დანარჩენი განსხვავებული, ჯერჯერობით ამოუხსნელია, მაგრამ ხმათა განაწილების ამგვარი წესი შემთხვევითი რომ არ არის, ამაზე ქართული გალობის სხვადასხვა საგალობო სკოლის ნიმუშებში ანალოგიური სისტემის არსებობა მეტყველებს, მათ შორის, "კარბელაანთ კილოს" გალობაში[1].

რვახმათა დამოუკიდებელ ჯგუფს წარმოადგენს **კონდაკის** რვახმა. მასში კონდაკების გარდა ერთიანდება: იკოსი, იპაკო და სტიქოლოგიის წარდგომა. უნდა ითქვას, რომ კონდაკები არათუ კერესელიძის დასახელებულ კრებულებში, არამედ საერთოდ სანოტო ხელნაწერებში შედარებით იშვიათად გვხვდება (იგივე ითქმის იკოსებზეც). ამისდა მიუხედავად კონდაკის განსაკუთრებული ფუნქციური მნიშვნელობის გამო რვახმათა ამ ჯგუფს სწორედ "კონდაკის ხმები" ვუწოდეთ. Q 673-ში რვახმა იპაკოებიც გვხვდება, რომელთაც კონდაკის ხმისგან განსხვავებული მოდუსები გააჩნია, მაგრამ ქორიძის სხვა ხელნაწერების მიხედვით იპაკოც კონდაკის რვახმათა ჰანგებზეა გამოწერილი. ამასთან, კარბელაშვილების ჩანაწერებშიც კონდაკისა და იპაკოს რვახმა იდენტურია. მაგრამ ეს საკითხი ჯერ კიდევ მოითხოვს დაზუსტებას. რაც შეეხება სტიქოლოგიის წარდგომებს, იგი ქორიძის სხვადასხვა ხელნაწერების მიხედვითაც კონდაკის რვახმაში არის გაერთიანებული, თუმცა ეს საგალობლები კარბელაშვილის ჩანაწერებში ტროპარ-დასდებლის რვახმაზეა გამოწერილი.

განსაკუთრებული თავისებურებით გამოირჩევა **ანტიფონის** რვახმა საგალობელთა ჯგუფი, რაც იმაში მდგომარეობს, რომ თითოეულ ხმას ორი ან სამი განსხვავებული ჰანგი, მელოდიური ფორმულა აქვს. კერძოდ: I, II და III ხმები ორ-ორი ჰანგით არის წარმოდგენილი. VI, VII და VIII ხმებს სამ-სამი ჰანგი აქვს. ერთადერთი, V-ე ხმის ანტიფონებია მთლიანად ერთ ჰანგზე აგებული. ანტიფონების ხმათა მხოლოდ გარკვეული ნაწილი ემთხვევა ქორიძისა და კარბელაშვილების ჩანაწერებში სრულიად. რვახმის ამ ჯგუფში ერთიანდება აგრეთვე წირვის **მომიხსენენი**.

რვახმათა დამოუკიდებელ ერთეულს წარმოადგენს მცირე ფორმის საგალობლების – ე. წ. **წარდგომის** ჯგუფი, რომელშიც ერთიანდება: საცისკრო და წირვის სახარების, სამწუხრო და სამოციქულოს წარდგომები.

---

[1] ხმათა ამგვარი დაყოფის წარმომავლობაზე ერთგვარ მინიშნებას ვხვდებით პ. კარბელაშვილის წიგნში "ქართული საერო და სასულიერო კილოები": "ძველად იოანე დამასკელამდე ყოველი საგალობელნი იყოფოდნენ ოთხად და ოთხ უმთავრეს ხმაზედ იგალობებოდნენ. მაგრამ ზოგიერთ მონასტრებს განსაკუთრებული კილო ჰქონდათ შემუშავებული, როგორც შემდეგ ჩვენში. ამგვარად საეკლესიო მსახურებამ შექმნა უმთავრეს ოთხ ხმასთან ერთად სხვა რამდენიმე მეორეხარისხოვანი ხმებიც. დღეს ჩვენს საგალობლებში ხშირად შეხვდებით მხოლოდ ოთხი ხმის საგალობლებს, ასე რომ ეხლანდელი 4, 5, 6 და 7 ხმების (sic) ხსენება არსად არის˜ [5].

ასევე მცირე ფორმის საგალობელთა ჯგუფებად გამოიყოფა: რვახმა **წმიდა არსი** და რვახმა **ალილუია** წირვისა.

დიდებანის სახელით მოვიხსენიებთ საერთო რვახმის ჯგუფის საგალობლებს: **დიდება შენდა ღმერთო** და **დიდება... აწდა**.

რვახმათა ე. კერესელიძისეული ჩამონათვალიდან ცხრილში მხოლოდ სამი მათგანი არა გვაქვს მოცემული: ძლისპირები, ძლისპირთა კატავასიები და "ყოველი სული აქებდით". ეს უკანასკნელი რვახმათა აღნიშვნისდა მიუხედავად მთლიანად ერთ ჰანგზეა გაწყობილი კრებულში, რაც უჩვეულო რამ არის და შესაძლოა დანარჩენი ხმების ჰანგთა დავიწყებით იყოს გამოწვეული.

რაც შეეხება ძლისპირსა და კატავასიას, რომელიც კანონის ანუ გალობანის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, უნდა ითქვას, რომ საგალობელთა ამ სახეობაში განსაკუთრებულად ვლინდება ქართული საეკლესიო გალობის ინტონაციურ-მელოდიური, სტრუქტურულ-კომპოზიციური მრავალფეროვნება. ამას თავის მხრივ განაპირობებს აღნიშნულ საგალობელთა აგებულების კანონზომიერებები, რომლებიც, რვახმის სისტემის სხვა საგალობელთაგან განსხვავებით, არ შემოიფარგლება მელოდიურ ფორმულათა მხოლოდ რვა განსხვავებული ტიპით. "სძლისპირნი, როგორც იტყვიან, 555 სხვადასხვა მუხლებს შეადგენს, აგრეთვე, თუმც რვახმით სხვადასხვა ხმებს უჩვენებს, მაგრამ იმ დაწერილი ხმებით ვერ განირჩევიან, რომელი ძლისპირი რომელი ხმა არის, არამედ თითოეულ ძლისპირს საკუთარი სხვადასხვა ხმები აქვს" - წერს რაჟდენ ხუნდაძე [6]. სწორედ ძლისპირებთან მიმართებაში შეიძლება იყოს საუბარი საგალობელთა კომპოზიციური აგების ე. წ. "აკინძვის" პრინციპზე.

ძლისპირთა ეს მრავალფეროვნება და მუსიკალურ სახეთა სიმრავლე უნა იყოს მიზეზი იმისა, რომ ქართველმა ხალხმა, ქართულმა ენამ ღვთის სადიდებლის ზოგადი მუსიკალური ტერმინით აღნიშნა ძლისპირთა (მის გადასათქმელთა) და კატავასიათა ერთიანი კომპოზიცია და უწოდა მას "გალობა" ანუ "გალობანი", რაც "კანონის" სინონიმია. შეიძლება ითქვას, რომ ძლისპირნი ანუ გალობანი ქართული საეკლესიო მუსიკის იმ მდიდარ საუნჯეს წარმოადგენს, რომელიც მოელის საფუძვლიან მეცნიერულ შესწავლას, მისი კანონზომიერებების გამოვლენასა და დადგენას.

ხელნაწერში Q 672 რვახმა "უფალო ღაღადვყავის" ე. წ. ჭრელი გალობის ნიმუშებია მოტანილი. ეს ხმები დასდებლისა და ტროპარ-დასდებლის ხმებისაგან განსხვავებულია. თავად ჭრელებიც რომ გარკვეულ წილად რვახმის სისტემას ექვემდებარება, ამას მოწმობს სხვადასხვა საგალობელთა ჭრელი ნიმუშების ჰანგთა იდენტურობა საერთო ხმის მითითების შემთხვევაში. მაგრამ წარმოადგენს თუ არა ჭრელი გალობა რვახმათა დამოუკიდებელ ჯგუფს, რომელშიც გაერთიანებულია სხვადასხვა ჟანრის საგალობლები, ან რა კანონზომიერებები დევს ამ გაერთიანებაში, ჯერ კიდევ გასარკვევია.

ამჟამად კი, ჩვენი მიზანია, რვახმის ზემოჩამოთვლილ ჯგუფთაგან რამდენიმე ხმის სტრუქტურულ-კომპოზიციური და ინტონაციური აგებულების ანალიტიკური აღწერა, რომელთა მაგალითზე შეგვიძლია დავინახოთ რვახმის სისტეამაში არსებული მყარი წესები და კანონები.

ცნობილია, რომ ყველა სახის საგალობელი, მათ შორის რვახმაში შემავალი საგალობლები, შედგება მუხლებისგან. გალობის სტრუქტურულ აგებულებაზე საუბრისას უთუოდ უნდა შევეხოთ საგალობელთა მოდუსთა საკითხს, რასთან

დაკავშირებითაც საინტერესო დაკვირვებები აქვს წარმოდგენილი მ. სუხიაშვილს ნაშრომებში "ქართული გალობის ძირითადი კომპოზიციური პრინციპის შესახებ" [7], სადაც მელოდიურ ფორმულებად, მოდუსებად მკვლევარს მიჩნეული აქვს ის ინტონაციური საქცევები, რომელთაგანაც შედგება საგალობლის მუხლები. მაგრამ თუ რა უთიერთდამოკიდებულებაა თვით მუხლებს შორის, ეს არ არის სათანადოდ წარმოდგენილი ნაშრომში. ამასთან, საანალიზო მაგალითებად მოტანილი აქვს შემთხვევები, რომელთა მიხედვითაც საგალობელთა ძირითად კომპოზიციურ პრინციპზე კი არა, სანოტო ჩანაწერებში არსებულ გამონაკლისებზე შეიძლება ვიმსჯელოთ.

რეალურად კი სწორედ მუხლი წარმოადგენს გალობის იმ მყარ ერთეულს, რომელსაც საგალობლის მოდუსი შეგვიძლია ვუწოდოთ, რომელიც, ცხადია, მელოდიური საქცევებისგან, ინტონაციური ბლოკებისგან შედგება.

ამ თვალსაზრისით ქართული გალობის ძველ სანოტო ჩანაწერებში ყველაზე გამართულად კარბელაშვილების ჩანაწერები უნდა ჩაითვალოს, რადგან სხვათაგან განსხვავებით, აქ ტაქტებად დაყოფის ნაცვლად, საგალობლები მუხლებად არის დაყოფილი, რომელთა გამიჯნვაც უმეტეს წილად კადანსური ინტერვალებით – კვინტით ან უნისონით ხდება. ქორიძე-კერესელიძის ჩანაწერების ანალიზისას საგალობელთა მუხლებად დაყოფის იმავე პრინციპს მივმართეთ ჩვენც.

საგალობელში მუხლთა რაოდენობა, ერთის მხრივ, სიტყვიერი ტექსტის სიდიდეზე, ხოლო მეორეს მხრივ - ხმის სტრუქტურულ აგებულებაზე არის დამოკიდებული.

სხვადასხვა ჟანრის მრავალრიცხოვანი ნიმუშის ანალიზის შედეგად დგინდება, რომ საგალობელთა მუხლებს შორის სხვაობა არა მხოლოდ მელოდიური ინტონაციების მხრივ, არამედ ფუნქციურადაც არსებობს. კერძოდ, მუხლების შემდეგ სახეობებს გამოვყოფთ:

1) **საწყისი,**
2) **გამეორებადი,**
3) **შუალედური,**
4) **დასრულების წინა,**
5) **დასრულება.**

საწყისი მუხლის ფუნქცია მისი სახელწოდებიდანაც ჩანს, მაგრამ გარდა იმისა, რომ ამ მუხლით იწყება საგალობელი, ეს მუხლი შუა ნაგებობაში აღარ მეორდება.

გამეორებადი ვუწოდეთ ისეთ მუხლებს, რომლებიც საგალობელში ორჯერ ან მეტჯერ მეორდება. ზოგ ხმაში ამ ფუნქციას სხვა მუხლებთან ერთად პირველი მუხლიც ატარებს.

შუალედური ვუწოდეთ საგალობლის იმ მუხლებს, რომელნიც მხოლოდ შუა ნაგებობაში გვხვდება და მათი გამეორება არ შეიძლება.

ცალკე ფუნქციის მქონედ გამოვყავით ზოგიერთ ხმაში არსებული ე. წ. **დასრულების წინა** მუხლები, რომელნიც მხოლოდ ბოლო მუხლის წინ გვხვდება. ზოგ ხმაში ასეთი ორი მუხლი უძღვის წინ დამაბოლოვებელ მუხლს.

საგალობლის ბოლო მუხლი, რომელსაც **დასრულება** ვუწოდეთ, როგორც წესი, უნდა განსხვავდებოდეს ყველა დანარჩენი მუხლისაგან. იგი შუა ნაგებობაში არ გამოიყენება და წესისამებრ, უნისონით უნდა ბოლოვდებოდეს (მართალია, გვხვდება კვინტაზე დასრულებული გამონაკლისებიც, თუმცა მათი ინტონაციური აგებულება ასევე განსხვავებულია ყველა წინამდებარე მუხლისგან).

რვახმათა ჯგუფების ყოველ ხმას თავისი სტრუქტურა, მუხლთა საკუთარი მელოდიური ფორმულები აქვს, რომელთა რაოდენობა და რიგი სხვადასხვა ხმის საგალობლებში სხვადასხვაა. ყველა სახის საგალობელს, რომელშიც მუხლთა რაოდენობა ორი ან ორზე მეტია, როგორც წესი, აქვს საწყისი და დამაბოლოვებელი მუხლი[2] (ეს უკანასკნელი შესაძლოა მხოლოდ ლიტურგიკული გააზრებით აკლდეს საგალობელს. მაგ. წითელი პარასკევის საგალობლებში: "შვენიერმან იოსებ" და "მენელსაცხებლეთა დედათა"). დანარჩენი მუხლები კი (საგალობლის ტექსტის სიგრძე-სიმოკლიდან გამომდინარე), შესაძლოა, გამოტოვებულ იქნას, მაგრამ გარკვეული წესისა და თანმიმდევრობის დაცვით. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

ტროპარ-დასდებლის VI ხმა, რომელიც რვახმათა ამ ჯგუფში ყველაზე მარტივი აგებულებისაა, შედგება სამი მელოდიური ფორმულისაგან, მოდუსისგან, რომელთაგან ორი გამეორებადი მუხლია (1, 2) და ერთი - დასრულება (K). მუხლთა რიგი ამ ხმაში ასეთია: 1 2 1 2 ... K. (დანართი 3.)

წარმოგიდგენთ Q 672 და Q 673 კრებულებში არსებული ამ ხმის 27 საგალობლის ანალიტიკურ ცხრილს (დანართი 4).

მათში 2-დან 8 მუხლამდე მოცულობის მქონე ნიმუშები გვხვდება. ერთი გამონაკლისის გარდა ("უმეტესად კურთხეულ ხარ" #27), რომელშიც მუხლი 1 ორჯერ ზედიზედ მეორდება, მუხლთა რიგი, თანმიმდევრობა ყველგან დაცულია. ამ ხმის სტრუქტურული აგებულების სიმყარე ეჭვს არ იწვევს.

თქვენს ყურადღებას გავამახვილებთ VI ხმის თავისებური ფორმის საგალობელზე "ღმერთი უფალი", (#18) რომელიც სამმუხლიან ოთხჯერგამეორებად კომპოზიციას წარმოადგენს, მუხლთა ასეთი თანმიმდევრობით: 1 2 K, 1 2 K, 1 2 K, 1 2 K.

ე. კერესელიძის კრებულში საგალობლის "ღმერთი უფალის" ჩანაწერის განსაკუთრებულობაზე ყურადღებას ამახვილებს დ. დოლიძე ნაშრომში "ღამისთევის ლოცვის საგალობელთა ლიტურგიკული თავისებურებანი ქართულ საღვთისმსახურო პრაქტიკაში" [8] და აღნიშნავს, რომ ამ ჩანაწერის მიხედვით "აქ იგალობება აგრეთვე ამ საგალობლის მუხლებიც, რომლებიც დღევანდელ საღვთისმსახურო პრაქტიკაში მიღებულ წიგნებში განკუთვნილია არა მგალობელთათვის, არამედ დიაკვნისათვის, რომელიც ამ მუხლებს კითხულობს. ეს უთუოდ ძველი ტრადიციის გადმონაშთია."

აღნიშნული საგალობლის ქორიძე-კერესელიძისეულ ჩანაწერში მუხლები 1 და 2 უშუალოდ "ღმერთი უფალის" ტექსტზე მოდის, ხოლო მუხლ K-ზე გაწყობილია ე. წ. დიაკვნის სათქმელი ტექსტი, რომელსაც, როგორც ჩანს, ძველად მგალობლები ასრულებდნენ.

"ღმერთი უფალი" კარბელაშვილისეულ და ხუნდაძისეულ ჩნაწერებში მოცემულია ამ ჩასართავი მუხლის გარეშე, ანუ როგორც ასრულებენ მას მგალობლები დღევანდელ საღვთისმსახურო პრაქტიკაში. ამიტომ, ამ ჩანაწერებში ეს საგალობელი ორმუხლიანია, მაგრამ მოდუსთა რიგიდან ამოღებული არა

[2] მართალია, არსებობს შემთხვევები, როცა საგალობელი საწყისი ან დამაბოლოვებელი მუხლის გარეშეა წარმოდგენილი, რაც ძალზე იშვიათია და, ჩემი აზრით, ან გამონაკლისს წარმოადგენს, ან ლიტურგიული გააზრებით უნდა ხდებოდეს, როგორც მაგალითად, საგალობელი "შვენიერმან იოსებ", რომლის ჩვეულებრივი ვარიანტისგან განსხვავებით (II ხმის სტიქოლოგიის წარდგომა), წითელ პარასკევს იგი შემოკლებულად სრულდება, სადაც ამოღებულია სიტყვები: "... გარნა მესამესა დღესა აღსდეგ უფალო, მომცემელო სოფლისად დიდსა წყალობასა".

დამასრულებელი K მუხლი, არამედ მუხლი 2, ანუ მუსიკალურად იგი შედგება საწყისი და დამაბოლოვებელი მუხლებისგან, რითაც დაცულია გალობის სტრუქტურული კანონი, რომლის მიხედვით საგალობელი დამასრულებელი მუხლით უნდა ბოლოვდებოდეს. ე. კერესელიძის ხელნაწერების მიხედვით ბოლო წლებში გამოქვეყნებულ სანოტო კრებულებში [9] საგალობელი "ღმერთი უფალის" კერესელიძისეული ვარიანტი მოცემულია ზემოაღნიშნული ჩასართავი მუხლის, ანუ დამასრულებელი K მუხლის გარეშე, რომელიც მექანიკურად არის მოშორებული დღევანდელი საგალობო პრაქტიკიდან გამომდინარე. ეს კი აღნიშნული ხმის გალობის სტრუქტურული კანონზომიერების გაუთვალისწინებლობად შეიძლება ჩაითვალოს. აქედან გამომდინარე უზუსტობადვე მიგვაჩნია ამგვარი შემოკლებული ვერსიისა და იგივე საგალობლის ხუნდაძისეული ვარიანტის შედარებით მიღებული დასკვნა, რომელიც მაგდა სუხიაშვილს ეკუთვნის: "მიუხედავად იმისა, რომ ორივე საგალობლის კომპოზიციური სტრუქტურა მეექვსე ხმის ტროპარის (?) მელოდიური ფორმულებითაა შედგენილი, მათი ჰანგები ერთმანეთისგან საკმაოდ სხვაობს" [10]. დამეთანხმებით, აქ ერთგვარი უზუსტობაა, რომელიც ავტორს ნიმუშად მოაქვს იმ თეზისის დასასაბუთებლად, რომ საგალობლის "მოდუსებს ურთიერთ შენაცვლების უნარი აქვს...", რომ "ხელოვანთმთავარი (ანუ გალობის შემთხზველი)... ირჩევს საგალობლის გარკვეული ხმისა და სახეობის მელოდიურ ფორმულებს და მათი კომბინაციების მეშვეობით ქმნის განსხვავებულ ჰანგს" [11:70].

რვახმის ზემოთ ჩამოთვლილ ϫგუფებში საგალობელთა აგების პრინციპი რომ საკმაოდ მკაცრი და განსაზღვრული წესით ხდება და მისთვის არ არის ჩვეული მოვლენა მუხლებით ანუ მელოდიური ფორმულებით თავისუფალი კომბინირება, ამას მოწმობს როგორც მარტივი აგებულების მქონე ტროპარ-დასდებლის VI ხმის, ისე სხვა ხმათა ანალიზიც.

იმავე ϫგუფის (ე. ი. ტროპარ-დასდებლის) IV ხმა შედგება შვიდი მელოდიური ფორმულისაგან, რომელთაგან ერთი საწყისი (1), სამი გამეორებადი (3, 4, 5), ორი შუალედური (2, 6) და ერთიც დამასრულებელი (K) მუხლია. (იხ. დანართი 5)

ქვემოთ წარმოდგენილ ანალიტიკურ ცხრილში (იხ. დანართი 6) 25 საგალობლიდან 23-ში მუხლთა თანმიმდევრობის ერთ წესია დაცული. ამ საგალობელთა უმეტესობა ექვსმუხლიანია. მუხლთა ყველაზე მცირე რაოდენობა სამია, ხოლო ერთი ნიმუში 10 მუხლს შეიცავს. მუხლთა რიგი კი ასეთია: 1 2 3 4 5 6 3 4 5 K. წარმოდგენილ 25 საგალობელს შორის მხოლოდ ერთი გამონაკლისი გვხვდება (#6), რომელშიც გამოტოვებულია მუხლი 3. როგორც ვხედავთ, სხვადასხვა საგალობელს შეიძლება სხვადასხვა რაოდენობა ჰქონდეს მუხლებისა, მაგრამ მათი რიგი მკაცრად ჩამოყალიბებულ წესს ექვემდებარება. აქედან გამომდინარე, მოდუსებით "კომბინირებაზე" მხოლოდ როგორც გამონაკლისზე შეიძლება იყოს საუბარი და არა როგორც საგალობლის კომპოზიციის ძირითად პრინციპზე.

რვახმათა ზემოთმოტანილი ცხრავე ϫგუფის, ე. ი. 72 ხმის მელოდიური ფორმულების ანალიზი და მათში დაცული კანონზომიერებების წარმოჩენა აქ წარმოდგენილი ნაშრომის მიზანი, ბუნებრივია, ვერ იქნება, მით უმეტეს, რომ ეს კანონზომიერებები სრულად უნდა იქნას განხილული სხვადასხვა საგალობო ტრადიციისა თუ სკოლის მაგალითზე.

არ შემიძლია არ აღვნიშნო 1907 წელს გამოქვეყნებული ფილიმონ კარბელაშვილის ერთი კრებულის შესახებ, სახელწოდებით "ერთხმიანი ქართული

საეკლესიო გალობა”, [12] რომელშიც მოცემულია მწუხრის გალობის მხოლოდ პირველი ხმა, მაგრამ, რაც ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რვახმათა საგალობლების ყოველი მუხლის დასაწყისში მითითებულია, თუ რომელ “სტრიქონს” (ამ ტერმინს იყენებს ფ. კარბელაშვილი) ანუ რომელ მუხლს წარმოადგენს იგი შესაბამის ხმაში. ასეთი კი კრებულში 27 საგალობელი არის (უნდა აღვნიშნო, რომ ამ კრებულზე სპეციალსტთა ყურადღება აქამდე არ გამახვილებულა).

შეიძლება ითქვას, რომ ქართული გალობის მელოდიურ-სტრუქტურული ანალიზის ჩვენთვის ცნობილ პირველ ცდას სწორედ ეს კრებული წარმოადგენს. დიდი ხანი არ არის გასული მას შემდეგ, რაც ამ კრებულს გავეცანი და, არ დაგიმალავთ, რომ ძალზე გახარებული ვიყავი კრებულსა და ჩემ უკვე მომზადებულ ნაშრომს შორის არსებული ბევრი მსგავსების დანახვით. ბუნებრივად გაჩნდა სურვილი მათი შედარებისა, რის რამდენიმე ნიმუშსაც ცხრილში წარმოგიდგენთ:

დასდებლის ხმის უფალო ღაღადვყავსა ზედა დასდებლები და ღვთისმშობლისანი (იხ. დანართი 7).

როგორც ვხედავთ, საგალობლების არცთუ მცირე ნაწილში მუხლთა რიცხობრივი ოდენობა გასხვავებულია ამ ორ წყარის შორის. მაგრამ ,ამისდა მიუხედავად, მოდუსთა რიგი ყველგან დაცულია. ეს კი, თავის მხრივ, გალობის მუსიკალური სტრუქტურის სიმყარეს უსვამს ხაზს.

კვლევის შემდეგი ნაბიჯი უშუალოდ მოდუსების ურთიერთშედარებაა ქართული გალობის სხვადასხვა სკოლის საგალობლებში. ასეთ ანალიზს კი მივყავართ რვახმის იმ ფუძე-ჰანგებამდე, რომლებზედაც არის აგებული მკაცრი კანონზომიერებითა და ამავე დროს, საოცარი მრავალფეროვნებით აღჭურვილი სრული ქმნილება – ქართული საეკლესიო გალობა.

დამოწმებული ლიტერატურა

1. შუღლიაშვილი დავით. ქართული გალობის შტოთა ერთიანობის შესახებ. - თსკ სამეცნიერო შრომების კრებული - ძველი ქრთული პროფესიული მუსიკა. ისტორიისა და თეორიის საკითხები. - თბილისი, 1991.
2. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. ხელნაწერი Q672, Q673.
3. კერესელიძე ექვთიმე. ისტორია ქართული საეკლესიო საგალობლების ნოტებზე გადაღებისა. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. ხელნაწერი Q840.
4. კერესელიძე ექვთიმე. იქვე. გვ. 73,76-77.
5. კარბელაშვილი პოლიევკტოს. ქართული საერო და სასულიერო კილოები. - სტამბა ექ. ხელაძისა. ტფილისი. 1898.. გვ. 49.
6. ხუნდაძე რაჟდენ. ქართული საეკლესიო გალობა. ჟურნალი "მწყემსი" 1884. #7 გვ. 4.
7. სუხიაშვილი მაგდა. საეკლესიო გალობის კანონიკის ზოგადი ასპექტის შესახებ. კრებულში: ქართული გალობა. ერი და ტრადიცია. რედ.: შილაკაძე მანანა და სხვ. თბილისი. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის გამომცემლობა "მატიანე". თბილისი 2001.
8. დოლიძე დალი. – ღამისთევის ლოცვის საგალობელთა ლიტურგიკული თავისებურებანი ქართულ საღვთისმსახურო პრაქტიკაში. კრებულში: ძველი ქართული პროფესიული მუსიკა. ისტორიისა და თეორიის საკითხები. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სამეცნიერო შრომები. პას. რედ. რუსუდან წურწუმია. თბილისი, 1991. გვ. 199.
9. ერქვანიძე მალხაზ (შემდგენელი). (2001, 2004). ქართული გალობა. ტ. I. მწუხრი, ცისკარი, წირვა. თბილისი. საქართველოს საპატრიარქოს გალობის ცენტრი. თბილისი 2001 (II გამოცემა); 2004 (III გამოცემა).
10. სუხიაშვილი მაგდა (დასახელებული ნაშრომი) გვ. 69.
11. (იქვე) გვ.70.
12. კარბელაშვილი ფილიმონ. ერთხმიანი ქართული საეკლესიო გალობა, "მწუხრი". ტფილისი. სტამბა ექ. ხელაძისა. 1907.

სტატიას ახლავს 7 დანართი.

Article received: 2009-03-18

დანართი 1.

რვა-ხმა, სამწუხრო წარდგომები
რვა-ხმა, უფალო დადად ვყავი
რვა-ხმა, უფალო დადად ვყავის დასდებელნი
რვა-ხმა, ლიტიის დასდებელნი
რვა-ხმა, სტიქარონის დასდებელნი
რვა-ხმა, საუფლო ტროპრები
რვა-ხმა, დოდმატიკები
რვა-ხმა, ღმერთი უფალი
რვა-ხმა, აღდგომის ტროპრები
რვა-ხმა, დღესასწაულის ტროპრები
რვა-ხმა, ალილუია. დიდმარხვისა
რვა-ხმა, დიდმარხვის სამებიანის ტროპრები
რვა-ხმა, შუაღამიანის სძლისპირნი
რვა-ხმა, ფსალმუნთა სტიქოლოგიები
რვა-ხმა, ანტიფონების საგალობლები
რვა-ხმა, სახარების წარდგომები
რვა-ხმა, ყოველი სული აქებდით
რვა-ხმა, იპაკოები
რვა-ხმა, სძლისპირები
რვა-ხმა, სძლისპირთა ზედა კატავასიები
რვა-ხმა, აღდგომის კონდაკები
რვა-ხმა, წმიდა არსის საგალობლები
რვა-ხმა, განმანათლებელი აღდგომისა და სხვა დღესასწაულთა
რვა-ხმა, განმანათლებელი სადაგ დღეებისა
რვა-ხმა, განმანათლებელი დიდმარხვისა
რვა-ხმა, სტიხოლოგიები დიდმარხვისა
რვა-ხმა, აქებდითსა ზედა დასდებლები
რვა-ხმა, აღვიკსენითსა ზედა დასდებლები
რვა-ხმა, დიდება მაღალიანის ტროპრები
რვა-ხმა, დიდება... და აწდა...

დანართი 2

	რვახმათა ჯგუფები	**საგალობელთა სახეობა**
1

დანართი 4

ტროპარ-დასდებლის VI ხმის მოდუსები



დანართი 3

Q 672 ტროპარ-დასდებლის ხმა ვ.

რიგითი №	გვერდი	№	საგალობელი	ჟანრი, ფუნქცია	მუხლთა რაოდენ.	მუხლთა რიგი	შენიშვნა
1.	151	83	ძლევა გაქენდა ქრისტე	უფალ-ღაღადვყავის დასდებელი	5	1 2 1 2 K	
2.	152	84	დღეს ქრისტემან სიკვდილი	‘’	5	1 2 1 2 K	
3.	154	85	შენ უფალო რომელი ეგე ხარ	‘’	5	1 2 1 2 K	
4.	155	86	ჯვარითა შენითა ქრისტე ვიქა	‘’	4	1 2 1 K	
5.	156	87	მარადის ვაკურთხევდეთ	‘’	4	1 2 1 K	
6.	157	88	დიდება ძალსა შენსა უფალო	‘’	4	1 2 1 K	
7.	158	89	დაფლვამან შენმან მეუფეო	‘’	4	1 2 1 K	
8.	160	91	ვინ არა გნატრიდეს შენ	ღვთისმშობლისა	8	1 2 1 2 1 2 1 K	
9.	291	176	აღდგომასა შენსა	სტიქარონის დასდებელი	4	1 2 1 K	
10.	292	177	ბჭენი რვალისანი შემუსრენ	‘’	5	1 2 1 2 K	
11.	293	178	პირველისა მის ხრწნილებისა	‘’	9	1 2 1 2 1 2 1 2 K	
12.	297	179	ჯვარს ეცუ ქრისტე ვითარცა	‘’	3	1 2 K	
13.	298	180	შემოქმედი და მხსნელი ჩემი	‘’	6	1 2 1 2 1 K	
14.	329	196	აწ განუტევე	--------	5	1 2 1 2 K	
15.	365	214	ანგელოსთა ძალნი	ტროპარი აღდგომისა	6	1 2 1 2 1 K	
16.	367	215	რომელმან კურთხეულ უწოდე	ღვთისმშობლისა	6	1 2 1 2 1 K	
17.	382	223	უპატიოსნესა ქერუბიმასა	---------	4	1 2 1 K	
18.	413	235	ჯვარსა შენსა	სადღესასწ. ტროპარი	3	1 2 K	
19.	498	264	ათორმეტთა მამათა შორის	ტროპ. იოანე ზედაზნ.	5	1 2 1 2 K	
20.	126	92	ღმერთი უფალი	-----------	3x4	1 2 K, 1 2 K, 1 2 K, 1 2 K	
21.	167	110	ანგელოსთა ძალნი	ტროპარი აღდგომისა	6	1 2 1 2 1 K	
22.	169	112	რომელმან კურთხეულ უწოდე	ღვთისმშობლისა	6	1 2 1 2 1 K	
23.	245	144	ალილუია	ღმრთ უფალის მაგიერ	2x4	1 K, 1 K, 1 K, 1 K	
24.	1121	664	ჯვარი შენი უფალო	აქებდითსა ზედა დასდ.	4	1 2 1 K	
25.	1121	665	დაფლვამან შენმან უფალო	‘’	4	1 2 1 K	
26.	1122	666	მამისა თანა და სულისა	‘’	4	1 2 1 K	
27.	1123	667	მესამესა დღესა აღსდექ	‘’	4	1 2 1 K	
28.	1124	668	უფალო დიდ არს და სასინე.	‘’	6	1 2 1 2 1 K	
29.	1125	669	ჰოი უსჯულონი ურიანი	“	7	1 2 1 2 1 2 K	
30.	1126	670	ვინათგან დაბეჭდეთ სამარე	“	6	1 2 1 2 1 K	
31.	1128	671	ცხოვრებისმომცემელსა საფლ.	ღვთისმშობლისა	8	1 2 1 2 1 2 1 K	
32.	1163	693	უმეტესად კურთხეულ ხარ	------------	6	1 2 1 1 2 K	1 –ორჯერ ზედიზედ

დანართი 5

ტროპარ-დასდებლის IV ხმის მოდუსები



დანართი 6

Q 672 მწუხრი			ტროპარ-დასდებლის ხმა დ				
რიგითი №	გვერდი	№	საგალობელი	ჟანრი, ფუნქცია	მუხლთა რაოდენ.	მუხლთა რიგი	შენიშვნა
1.	119	65	ცხოველმყოფელსა ჯვარსა შენსა	უფალ-ღაღადვყავის დასდებელი	6	1 2 3 4 5 K	
2.	121	66	ძალისა მის ურჩებისა	‘’	6	1 2 3 4 5 K	
3.	123	67	ბჭენი ჯოჯოხეთისანი	‘’	3	1 2 K	
4.	124	68	მოვედით უგალობდეთ ერნო	‘’	5	1 2 3 4 K	
5.	126	69	ანგელოსნი და კაცნი	‘’	5	1 2 3 4 K	
6.	127	70	ბჭენი რვალისანი შემუსრენ	‘’	4	1 2 4 K	გამოტოვებულია 3
7.	129	71	უფალო მამისაგან შობა შენი	‘’	5	1 2 3 4 K	
8.	132	73	რომელი იგი შენ მიერ	ღვთისმშობლისა	8	1 2 3 4 5 6 5 K	
9.	269	166	უფალო აღხედენ ჯვარსა ზედა	სტიქარონის დასდებელი	5	1 2 3 4 K	
10.	171	167	დამსჭვალულმან ძელსა ზედა	‘’	6	1 2 3 4 5 K	
11.	173	168	ერმან უსჯულომან	‘’	5	1 2 3 4 K	
12.	174	169	ცრემლით გეძიებდეს შენ დედანი	‘’	6	1 2 3 4 5 K	
13.	177	170	მოხედე ვედრებასა მონათა შენთა	‘’ ღვთისმშობლისა	8	1 2 3 4 5 6 5’ K	
14.	325	194	აწ განუტევე	--------	6	1 2 3 4 5 K	
Q 673 ცისკარი							
15.	120	90	ღმერთი უფალი	----------	3x4	1 2 K, 1 2 K, 1 2 K, 1 2 K	
16.	109	648	რომელმან ჯვარცმა და სიკვდილი დაითმინე	აქებდითსა ზედა დასდებელი	4	1 2 3 K	
17.	1092	649	ჯვარითა შენითა ქრისტე პირველსა	‘’	6	1 23 4 5 K	
18.	1094	650	ჯვარითა შენითა ქრისტე მაცხოვარ	‘’	6	1 2 3 4 5 K	
19.	1095	651	წიაღნი მამულნი არა დაუტევე	‘’	6	1 2 3 4 5 K	
20.	1097	652	სიკვდილი დაითმინე ხორცითა	‘’	6	1 2 3 4 5 K	
21.	1099	653	კლდენი განსკლდეს ქრისტე	“	6	1 2 3 4 5 K	
22.	1101	654	ენება დედათა ხილვა	“	6	1 2 3 4 5 K	
23.	1102	655	სადა არს რომლისა იგი	ღვთისმშობლისა	6	1 2 3 4 5 K	
24.	1159	691	უმეტესად კურთხეულ ხარ	-----------	6	1 2 3 4 5 K	
25.	744	399	ყოვლისა ცხოვრებისა	ტროპარი	10	1 2 3 4 5 3 4 5 K	

დანართი 7

	დასდებლის რვახმა			ქორიძე-კერესელიძე		კარბელაშვილი
ხმა ა	საძწუხროხი ლოცვახი	დასდებელი	5	1 2 3 1 K	5	1 2 3 1 K
	ყოვლისა სოფლისა დიდებასა	ღვთისმშობლისა	11	1 2 3 1 2 3 1 2 3 1 K	9	1 2 3 1 2 3 1 2 K
ხმა ბ	პირველ საუკუნეთა მამისაგან	დასდებელი	5	1 2 3 4 K	5	1 2 3 2ვარ. K
	წარხდა სახე სჯულისა	ღვთისმშობლისა	8	1 2 3 5 2 3 K	8	1 2 3 2ვარ. 1ვარ. 2 3 K
ხმა გ	ჯვარითა შენითა ქრისტე	დასდებელი	3	1 2 K	3	1 2 K
	ვინ არა გხატრიდეს	ღვთისმშობლისა	6	1 2 1 2 2 K	8	1 2 1 2 1 2 2 K
ხმა დ	მწუხრისა გალობასა	დასდებელი	3	1 2 K	3	1 2 K
	მეუფე ცათა კაცთმოყვარებისათვის	ღვთისმშობლისა	5	1 2 3 1 K	6	1 2 3 1 2 K